გაცვლითი პროგრამა კალიარის უნივერსიტეტში

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს კალიარის უნივერსიტეტთან გაცვლითი პროგრამის ფარგლებში **4 საუკეთესო სტუდენტის შესარჩევად.**

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებს.

შენიშვნა: გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ გაცვლაში მონაწილეობის მიღების მსურველ ბაკალავრიატის სტუდენტს დასრულებული უნდა ჰქონდეს სწავლის ერთი წელი, ხოლო მაგისტრატურის სტუდენტს ერთი სემესტრი;

კრედიტების აღიარება: კალიარის უნივერსიტეტში აღებული კრედიტების აღიარება მოხდება საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის შესაბამისი სასწავლო პროგრამის ფარგლებში.

შენიშვნა: გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მასპინძელ უნივერსიტეტში სასურველი საგნების შესარჩევად სტუდენტებმა წინასწარი კონსულტაცია უნდა გაიარონ GIPA-ს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

იტალიაში სწავლის ხანგრძლივობა:
ერთი სემესტრი (2019 წლის შემოდგომის სემესტრი: ოქტომბერი 2019 - იანვარი, 2020)

ინგლისურენოვანი საგნების ჩამონათვალის ნახვა შესაძლებელია მიმაგრებულ ფაილში:

https://gipa.ge/uploads/files/Cagliari.pdf

სწავლის საფასური:

კალიარის უნივერსიტეტთან გაფორმებული პარტნიორობის ფარგლებში, GIPA-ს სტუდენტებს არ მოუწევთ კალიარიში სწავლის საფასურის გადახდა. თუმცაღა, შერჩეულმა სტუდენტებმა უნდა დაფარონ GIPA-ში მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური.

შენიშვნა: შერჩეულმა სტუდენტებმა თავად უნდა დაფარონ საერთაშორისო მგზავრობის, ცხოვრების, სავიზო მოსაკრებლისა და დაზღვევის ხარჯები!

საკონკურსო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

- სამოტივაციო წერილი (ინგლისურ ენაზე, არაუმეტეს ერთი გვერდისა);
- ერთი სარეკომენდაციო წერილი (ინგლისურ ენაზე);
- ნიშნების ამონაწერი (ინგლისურ ენაზე, GPA-ის მითითებით);

დაინტერესებულმა სტუდენტებმა **ა/წ 15 მარტის 16 საათამდე** უნდა გამოაგზავნონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი შემდეგ ელ-ფოსტაზე: n.bakradze@gipa.ge

სტუდენტთა შესარჩევი პროცესი:

- დოკუმენტაციის შემოწმება;
- გასაუბრება აპლიკანტთან ინგლისურ ენაზე;

შერჩევის კრიტერიუმები: 2 საუკეთესო აპლიკანტი გამოვლინდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- მაღალი GPA
- ინგლისურ ენის ცოდნის მაღალი დონე
- აპლიკანტის მოტივირება
- დახასიათება/რეკომენდაცია

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით ელ-ფოსტის საშუალებით: n.bakradze@gipa.ge ან მითითებულ ნომერზე: 577 57 75 11

არასრული ან/და დაგვიანებული განცხადებები არ მიიღება!